

კულტურის სფეროს მართვის შესაძლებლობები და მათი პრობლემები
საქართველოში
მალხაზი რაზმაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სანადირაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მალხაზ რაზმაძე

2017 წელი

~

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია კულტურის წვლილი სოციალურ საკითხებთან მიმართებაში. კულტურა და ხელოვნება სოციალურად მომგებიანია. ვინაიდან ისინი აკუმულირებენ და ტრანსლირებენ უკეთებენ საზოგადოების მთავარ ღირებულებებს. ბიზნესისა და მენეჯმენტის ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა: რეკლამა, PR, პერსონალთან მუშაობა, კორპორაციული კულტურის ფორმირება, შეუძლებელია სოციალურ-კულტურული მოდვაწეობის ტრადიციული ფორმების გამოყენების გარეშე. კულტურის სფეროში მენეჯმენტის ეფექტიანობა ყველა სფეროში დიდად არის დამოკიდებული მართვის მენეჯმენტის პროცესების ანალიზზე, დაგეგმვასა და ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებაზე. ბუნებრივია, ეს მიდგომა ეხება ეკონომიკური ფაქტორების მართვასაც განსაკუთრებით, კი კულტურის სფეროში.

საკვლევი თემის აქტუალობა - წარმოდგენილი თემის აქტუალობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ პრობლემურ საკითხებში, რაც კულტურის წინაშე დგას დღევანდელ საქართველოში. ქვეყანაში კულტურის მენეჯმენტი ფეხს იკიდებს და პირველ ნაბიჯებს დგამს ჩვენს რეალობაში, და შესაბამისად კულტურის სფეროს მნიშვნელობაცა და კულტურის ეკონომიკური საკითხებიც მნიშვნელოვანი ხდება. მნიშვნელოვანია კულტურაში დაფინანსების ფორმებისა და დაფინანსების საკითხების განხილვა, გაანალიზება. ასევე სახელმწიფოს როლი და მისი მნიშვნელობა.

საკვლევი თემის მნიშვნელობა განსაკუთრებულად აქტუალურია თანამედროვე საქართველოში, რადგანაც „ცნებაში „კულტურის სფერო“ იგულისხმება საწარმოთა, დაწესებულებათა და არაკომერციულ ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც, ოფიციალური კლასიფიკაციის თანახმად, განეკუთვნება კულტურისა და ხელოვნების ქმნილებების, არამატერიალური მომსახურების მწარმოებელ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სექტორს. კულტურის სფეროს განვითარების დაგეგმვა უნდა წარმოადგენდეს მიზნობრივი ორიენტაციისა და აუცილებელი შედეგების მიღწევის, კულტურის სფეროში მოდვაწე სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, საზოგადოებისთვის კულტურის სფეროს მომსახურების

მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას. კულტურის სფეროს მენეჯერი ზედმიწევნით უნდა ფლობდეს კომერციული და არაკომერციული საქმიანობის მარკეტინგს, ერკვეოდეს ეკონომიკასა და სამართალში და ფლობდეს მენეჯერისათვის აუცილებელ სხვა უნარ-ჩვევებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა ხდებოდეს სტრატეგიული დაგეგმარება.¹

ნაშრომის თეორიულ საფუძველსა და ინფორმაციულ ბაზას შეადგენს: ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომები სახელოვნებო და კულტურის მენეჯმენტის მიმართულებებითა და ეკონომიკური ნაშრომები კულტურის სფეროში. კვლევა და კვლევაზე დაფუძნებული ანალიზი და პირადი ინტერვიუები.

¹ სანადირაძე ნინო „კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება“, თბ. 2011, გვ. 47